




ქრონიკა

ინფორმაცია

ინფორმაცია



ყურადღება!

ეს შენობა დღესაც დგას დაბა ყაზბეგის ცენტრში, რაკომისა და აღმასკომის მეზობლად, ალ. ყაზბეგის სახლ-მუზეუმის ტერიტორიაზე, მაგრამ ნახვისას ვერ იცნობთ. გარდასული ხანის ამ შესანიშნავმა და საინტერესო ნაგებობამ, რომელიც თავის თავში აერთიანებს საქართველოს მთიანეთის სამშენებლო ტრადიციებს და XIX ს-ის რუსულ-ევროპული ხუროთმოძღვრების თვისებებს, წესით გამორჩეული ადგილი უნდა დიკავოს როგორც ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიაში, ისე ძველთა

დაცვისათვის პასუხისმგებელი უწყებების საქმიანობის გეგმაში. უკანასკნელად დამახინჯდა... ალ. ყაზბეგის სახლ-მუზეუმის რეკონსტრუქციისას. მოპირკეთდა ახალი ქვით, გაუნჩნდა ასევე თლილი ქვით მოპირკეთებული მალაქის მუხლი. სამართლიანობა მითხოვს აღინიშნოს ისიც, რომ მეტისმეტად თვითნებურად, შენობის შემორჩალობისა და ხუროთმოძღვრული ღირებულების უგულვებელყოფით ტარდება თვითონ სახლ-მუზეუმის სამუშაოებიც. ძველთა დაცვის მთავარი სამმართველო მრავალმნიშვნელოვნად ღუშს. ღუშს ძველთა დაცვის მთავარ სამმართველოსთან არსებული ინსპექციაც!

პრობლემები მარნეულისად

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში გამოქვეყნდა ცნობა, რომ მარნეულის რაიონში გარკვეული პირები საარჩევნო კამპანიის დროს ეწეოდნენ მრგვალი მაგიდის დისკრედიტაციას, აშინებდნენ მოსახლეობას მრგვალი მაგიდის შესაძლო გამარჯვებით. გამოქვეყნებული იყო ამ პირთა სია. გაზეთის გამოსვლისთანავე რედაქციაში მოვიდნენ მარნეულის რაიონის წარმომადგენლები და კატეგორიულად განაცხადეს, რომ გაზეთში გამოქვეყნებული ინფორმაცია არ შეესაბამება ჭეშმარიტებას. ვილაცამ, ვისაც ხელს აძლევს დამაბულობა მარნეულის რაიონში, დეზინფორმაცია მიუწოდა რედაქციას; რომ აღნიშნულმა პირებმა, პირიქით, მხარი დაუჭირეს მრგვალი მაგიდას, არაბთუ საწინააღმდეგო კამპანიის ეწეოდნენ მის წინააღმდეგ. სამწუხაროდ, მოხდა გაუგებრობა... მარნეულის რაიონის ქართველი მოსახლეობის უდიდესმა ნაწილმა მხარი დაუჭირა საარჩევნო ბლოკს — „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო“. ღმერთო იყოს მათი შემწე ყველა კეთილ საქმეში.

კავკასია — ჩვენი საერთო სახლი

საქართველოს ჟურნალისტიკა სახლში 17 და 18 ნომერს მიმდინარეობდა კავკასიელი მწვანეებისა და ჟურნალისტების შეხვედრა, რომლის დღეობა იყო „კავკასია — ჩვენი საერთო სახლი“. ეს რიგით მეხუთე შეხვედრა იყო, რომელშიც მონაწილეობას იღებდა კავკასიის თითქმის ყველა ხალხების წარმომადგენლები აფხაზეთის გარდა. სტუმრებს მიესალმნენ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნემო ბურჭულაძე, უზენაესი საბჭოს დეპუტატი გიორგი მარჯანიშვილი, ჟურნალისტიკა დამოუკიდებელი კავშირის თავმჯდომარე ნიკო ჩერქეზიშვილი, საქართველოს მწვანეთა პარტიის სპიკერი ზურაბ ქვანია და სხვები. შეხვედრაზე საუბარი იყო საერთო კავკასიური ეკოლოგიური უსაფრთხოების სისტემის ჩამოყალიბების შესახებ, აგრეთვე კავკასიაში ეკონომიკური ინტეგრაციის, საერთო

კავკასიური ეკონომიკური ბაზრის შექმნის აუცილებლობაზე. შეხვედრის დროს გადაწყდა კავკასიის ჟურნალისტიკა საერთაშორისო ცენტრის შექმნის საკითხი, რომელსაც კორესპონდენტთა სააგენტოები ექნება კავკასიის ყველა რეგიონში და რომელიც; რეალურ წყაროებზე დაყრდნობით, მართებულ ინფორმაციებს მიაწვდის კავკასიელ ხალხებს. გაზეთი, თბილისში გამოიცემა, რუსულ ენაზე. სტუმრებმა საპროტესტო განცხადება გაუგზავნეს მიხეილ გორბაჩოვს იმ ცილისმწამებლურ გამოსვლასთან დაკავშირებით, სადა პრეზიდენტი შეეცადა საქართველოში მიმდინარე პროცესების გაყალბებას. დაიგეგმა მომავალი შეხვედრის მიზანი და დრო, აგრეთვე გადაწყდა 1991 წლის აპრილისათვის თბილისში ჩატარდეს მწვანეთა კონგრესი, სადაც მოწვეული იქნებიან დასავლეთ ევროპის სხვადასხვა ქვეყნების მეცნიერები. შეხვედრების დროს არაერთხელ გაესვა ხახი იმას, რომ კავკასიური საერთო სახლი საერთო ეკოლოგიური უსაფრთხოების სისტემაა, რომელსაც არავითარი ანალოგია არა აქვს საერთო ევროპული სახლის მოდელთან. ეკოლოგიური პრობლემა უსაზღვროა და ამდენად კატასტროფის თავიდან აცილების მიზნით საჭიროა ერთიანი ძალისხმევა, ურთიერთშეთანხმება, თანამშრომლობა, გაერთიანება

რედაქციისაზრად

გაზეთ „თავისუფალი საქართველო“ მე-4 ნომერში დაიბეჭდა თედო პაატაშვილის წერილი „პოლიტიკის, მეცნიერებისა და რელიგიის ურთიერთმიმართებათა რამდენიმე ასპექტი“. ობიექტური მიზეზების გამო, ავტორთან შეუთანხმებლად, წერილში მოყვანილი ციტა-

ტი ითარგმნა ქართულად, ხოლო ადგილები წმინდა წერილიდან, რომელიც ავტორს მოყვანილი ჰქონდა ძველი ქართული გამოცემის მიხედვით, შეიცვალა საქართველოს საბატაროლი ჰიეროზიმის ბიბლიის თანამედროვე, 1988 წლის გამოცემის მიხედვით. ავტორის აზრით, ამით ერთგვარად დაირღვა წერილის სტილი და ხასიათი.

საქართველოში ჩატარებულ არჩევნების ბევრ დადებით ასპექტთან ერთად დამატებითი პოზიტიური შედეგიც ახლავს თან. საქმე ისაა, რომ ამდენი რაოდენობის, აგრეთვე დიდი მოცულობის მასალა საქართველოს შესახებ დასავლეთის პრესაში 9 აპრილის შემდეგ ჯერ არ დაბეჭდილა, მაგრამ ამჟამად უცხოელი ჟურნალისტები საქართველოს ამბებში მეტ გათვითცობიერებას, ერუდიციას ამჟღავნებენ. ბევრი ფაქტი და მონაცემი დამახინჯების გარეშე მოყვანილი. ამასთანავე აქცენტი გამახვილებულია საქართველოში არსებული პარტიებისა და პოლიტიკური ვითარების ამსახველ მომენტებზე.

გერმანული „ფრანკფურტერ ალგემაინე“ მასალას არჩევნების შედეგების შესახებ ათავსებს პირველ გვერდზე, ზუსტად სათაურის ქვეშ. ფაქტობრივად ამით აღიარებულია, რომ ეს არის იმ დილის (3 ნომერი) ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა. გაზეთისათვის არჩევნების შედეგები მოასწავებს მთლიანად საბჭოთა კომუნისტების მეტად მძიმე დამარცხებას. აქვე მოცემულია არჩევნების ამსახველი სრული ციფრები. გაზეთი შემდეგ ვრცლად მიმოიხილავს საქართველოში ბლოკის პოლიტიკურ პროგრამასა და შეხედულებებს. აქ შემდეგი მომენტებია ხაზგასმული: გამარჯვებული პარტია ირჩევს დამოუკიდებლობის მიღწევის მშვიდობიან, პოლიტიკურ გზას, ახალი სამოქალაქო ხელშეკრულების თაობაზე მოყვანილია ზვიად გამსახურდიას მოსაზრება: ესაა „ქართველი ხალხის დამონების სხვა ფორმა“. ამის შემდეგ მოყვანილია მონაცემები უკვე თვით მრგვალი მაგიდის ხელმძღვანელზე, რომელზეც წერენ, რომ იგი არის ყოფილი დისიდენტი და ამჟამად ყველაზე პოპულარული ეროვნული ლიდერი. აღნიშნული სტატია იმდენად დიდია, რომ გრძელდება მომდევნო გვერდზე.

სახალხო ფრონტის წარუმატებლობად მიჩნეულია ის გარემოება, რომ მრგვალი მაგიდასთან შედარებით დამოუკიდებლობის მიღწევის უფრო ფრთხილი გზა არჩია. ძნელი სათქმელია, რამდენად სწორია

უხსოვრის პრესა

საბჭოთა კავშირი აღარ არსებობს

ეს მოსაზრება, მაგრამ, როგორც ვხედავთ, გაზეთი ძირითადად საკმაოდ ზუსტ ინფორმაციას ათავსებს, მაგრამ სამწუხაროდ პესიმისტური ნოტიო მთავრდება. ეგრძოდ, გაკეთებულია პარალელი საქართველოსა და მოლდავეთს შორის და განცხადებულია, რომ ახალ ვითარებაში მოსალოდნელია ეროვნებათაშორის ურთიერთობების გამწვავება. ამერიკის „ინტერნეშლ ჰერალდ ტრიბიუნის“ დიდი ყურადღებით ადევნებდა თვალს არჩევნებს და რამდენიმე პუბლიკაცია უძღვნა ამ საკითხს. ამ მოვლენის შემავაშებელი სტატია გამოქვეყნდა გაზეთის 3-4 ნომერის ნომერში. „ეროვნული ძალების გამარჯვება მოსალოდნელი იყო, მაგრამ მისი მასშტაბი სიურპრიზად აღიქმება“, — წერს გაზეთი. გაზეთის ასეთი მთავარი დასკვნა გამოაქვს: ეროვნული ძალების გამარჯვება საქართველოში კიდევ უფრო აართულებს გორბაჩოვის მიმართებას, შეინარჩუნოს საბჭოთა კავშირი. გაზეთი შემდეგ აღნიშნავს, რომ იმ რესპუბლიკებმა, ვინც არ გამოსთქვა საბჭოთა კავშირიდან გასვლის სურვილი, ცენტრთან დამაკავშირებელი ურთიერთობების დასუსტების სურვილი მაინც გამოამჟღავნა. გაზეთი აქვე დასძინს: საქართველოში მომხდარ მოვლენას მაინც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან მას ადგილი ჰქონდა იმ ისტორიული პიროვნების ქვეყანაში, რომელმაც ჩამოაყალიბა საბჭოთა სისტემა. აქვე გაზეთი აკეთებს პატარა ისტორიულ ექსკურსს, რომელიც გვარწმუნებს, რომ საქართველოს ანექსიის ფაქტი დასავლეთის საზოგადოებრივი აზრის კუთვნილება გახდა. გაზეთი წერს: დიდი ზნის განმავლობაში სა-

ქართველოს კომუნისტები მართავდნენ. ეს მოხდა წითელი არმიის ინტერვენციის შედეგად, რომელმაც განდევნა სოციალ-დემოკრატიული მთავრობა. ამის უკან კი იდგა კრემლში ძალაუფლების მოპოვების პრეტენდენტი იოსებ სტალინი. გაზეთი აკეთებს აქცენტს იმაზე, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის მიღწევა სურს მშვიდობიანი, პოლიტიკური გზით. სხვათაშორის, იგივე მიდგომა გამოამჟღავნეს სხვა დასავლურმა გაზეთებმაც, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ამ საკითხში დიპლომატიის ასეთი მშვიდობიანი ფორმულა ყველაზე მისაღებია დასავლეთისათვის. ალბათ, არაა შემთხვევითი, რომ გაზეთს მოყავს ზვიად გამსახურდიას სიტყვები: „არ გამოვაცხადებ ნაქარველ დამოუკიდებლობას, ჩვენ გვინდა გარდამავალი პერიოდი“. თავად ზვიად გამსახურდიამ გაზეთი წერს: „ქართველთა უმრავლესობისათვის გამსახურდიას ეროვნული სიმბოლო გახდა, რომელსაც ძალუქს ერს დამოუკიდებლობისაკენ გაუძღვეს“. გაზეთი გამოჰყავს აგრეთვე ერთ საინტერესო გარემოებას. როგორც ის აღნიშნავს, ზვიად გამსახურდიას და მთლიანად მრგვალი მაგიდის ბლოკი ახალი სამოქალაქო ხელშეკრულების წინააღმდეგია, ამიტომ გაზეთი ასეთ დასკვნას აკეთებს: საქართველოში მომხდარი მოვლენები იმაზე მიგვანიშნებენ, რომ გორბაჩოვს ამ თვალსაზრისით თავისი მიზნის მიღწევის პატარა შესაძლებლობა აქვს.

არჩევნების შეფასებას იტალიური „კორიერე დელა სერას“ მიერ ჩვენ უკვე შევეხეთ. 30 ოქტომბერს გაზეთის მოსკოვულმა კორესპონდენტმა ანდრეა ბონანინი გადმოსცა ინფორმაცია, რომლის შინაარსიდანაც ჩანს, რომ არჩევნ-

ვებს საჭირო რაოდენობის ხმები, ისინი მაინც უშედეგო პოპულარობითა და სიმამითებით სარგებლობენ, მაგრამ ფაქტია, — წერს გაზეთი, — რომ ანტიკომუნისტურად განწყობილია ამომრჩევლებმა მტკიცე არჩევანი გააკეთა და ხმა მისცა იმ ბლოკს, რომელიც უფრო ძლიერად მიიჩნია.

კორესპონდენტი მრგვალი მაგიდის წარმატებას ტრუმფალურს უწოდებს და ხაზს უსვამს მისი ლიდერის პირად თვისებებს, რაც ამ წარმატების საწინდარდ მიიჩნია. ზვიად გამსახურდიას, წერს იგი, ქართულ ენაზე შექსპირისა და ბოდლერის მთარგმნელი არის, საქართველოში ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი სულსინამდგამელი და

(დასასრული მე-8 გვ.)

TRAIT LIBRE



ფრანგული გაზეთი „მონდი“ იმდენად გაკვირვანია მთელს მსოფლიოში, რომ აქ დაბეჭდილი ეს მრავალმეტყველი კარიკატურა, რომელსაც ასახავს დასავლური პრესის ნაწილის ანგაზინდელ მიდგომას საბჭოთა კავშირისადმი, უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს, ვიდრე ამ საკითხზე დაბეჭდილი სტატიები უცხოეთის ბევრ სხვა გამოცემაში.

— ბატონო აკაკი, თქვენნი მოსკოვ-  
ში ყოფნის დროს რა იყო ხანტერე-  
ნი და მნიშვნელოვანი, რაც კადრის  
შემაღლება?

— კადრის მიღმა დარჩა უმძიმესი  
მდგომარეობა, რაც იქ არის — მათ  
მიაღწიეს ზღვარს, რაღაც ეტაპი დამ-  
თავრდა. სიტუაცია არის ცუდი მათ-  
თვის და კარგი ჩვენთვის, თუ შეიძ-  
ლება ასე ითქვას, რადგან ის, რაც  
იყო, დასუსტდა, ინგრევა, ძალთა და-  
ქაასუსლობა და ეს ხალხი იბრძვის  
კავშირისთვის, პირადი ძალაუფლებისა-  
თვის. ობიექტურად არსებობს დაპი-  
რისპირება რუსეთისა და საბჭოთა კავ-  
შირს შორის, რუსეთი დამოუკიდებელია,  
ესმით მათ ეს, თუ არ ესმით, რუსე-  
თში არ არის აღნიშნული მსოფლიო  
პოლიტიკურ რუკაზე, როგორც არ  
არის აღნიშნული ჩვენ. ეს რაღაც ქი-  
მერა, მონსტრი — საბჭოთა იმპერია  
ინგრევა, მაგრამ ყველაფერ ამას  
იმდენად დიდი მასშტაბი აქვს, რომ  
ინგრევა საშინელ კატასტროფასთან  
არის დაკავშირებული, ამიტომ დასა-  
ვლეთი ყველაწარაღ იცავს სტაბილუ-  
რობას. ჩვენს გამოსვლაშიც ეს იყო  
მთავარი, რომ ჩვენ ყველას მდგომარ-  
ეობაზე ვფიქრობთ. გორბაჩოვმა მო-  
ახდინა ისეთი რეაგირება, როგორც  
უნდა მოეხდინა. უფრო მძაფრად შე-  
იძღვრება. მაგრამ ამ შემთხვევაში მათ  
მთავარი მთავარი ის იყო, რომ ჩვენ  
ვთქვით — ანგარიშს ვუწევთ სიტუა-  
ციას. საქართველოს შეუძლია ააფეთ-  
ქოს საბჭოთა კავშირი, ამიტომ საბჭო-  
თა ოფიციალური მხრიდან სითბოც კი  
ვიგრძნობთ.

— ეს გარეგნული სითბო ხომ არ  
იყო, რომლის მიღმაც ვერაგობა იმა-  
ლებდა?

— რა თქმა უნდა. ვერაგობა იმ  
ლაპარაკებით გამოიხატა — „ქი, შენ კა-  
რგი ბიჭი ხარ, მაგრამ პრობლემა  
გაქვს, ვთქვით ავტონომიების  
კუთვნი მესხეთთან“ — დაკავშირებით.  
ვითომ გული შესტკვიათ ამაზე, მაგრამ  
გამგებნი გაიგებენ მათ განზრახვას.

— ეს მათი კოზირია?

— ეს მათი უკანასკნელი კოზირია,  
მაგრამ ამის მეტი კოზირი მათ არ და-  
რჩათ. ამიტომ ფრანგად არ იყო თქვენი  
ლო, რომ ცხვირს ვერაგინ ვერაფერ-  
ში ჩაყოფს ვერასოდეს, მაგრამ მათ  
შეუძლიათ სიტუაცია გაგვირთოთ  
შეგნით, დაძაბულობა შეგვიქმნას, თუ  
ჩვენ ვიქნებით ჰევიანები და ძლიერე-  
ბი, ამ სირთულეებს თავს დავაღწევთ.  
ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული  
და ეს ბედნიერებაა.

— ელცინმა, რომელიც თქვენი  
უდი უპირისპირდება საბჭოთა კავშირს  
და გორბაჩოვს, მხარი დაუჭირა აზრს,  
რომ კავშირი არ უნდა დაიშალოს.

— ელცინი ბოლო მომენტში უკან  
იხვეს ხოლმე, რადგან მასში მტკიცედ  
ზის, რომ გორბაჩოვი არის მისი უფ-  
როსი. ვინც ვითომ დიდად იდიდგუ-  
ლებდა გორბაჩოვს იმ დარბაზში, სინა-  
მდელიში ისინიც ქედმოდრეკილი  
არიან მის წინაშე. მათი ეს უქმეობა  
დასაწყისში მისი რატიდულებაა, შიშის-  
გან რომ რაღაცაზე ზედდას, რეალური  
ძალა ისევე თავმოყრილია კაბინეტებში.  
რამდენიმე კაცის ხელში. ეს ურთი-  
ერთდამოკიდებულება აბსოლუტურად  
ცხადია, მათ რომ უყურებ. სხვა სა-  
კითხია, რომ იმ ათობად კაცს ემინა,  
ეს საბჭო რაღაც ძალიან გაფორმების  
საშუალებად არ იქცეს. რომელიც რა-  
ღაც გადაწყვეტილებას მიიღოს და  
ყველაფერს კანონიერ სახეს მისცემს  
სწორად ამ საბჭოს მეშვეობით.

ელცინის მოდელი შეიძლება ორ-  
გვარი იყოს. პირველ შემთხვევაში ის  
იგებს რუსეთს. თუ გორბაჩოვისეუ-  
ლი საბჭოთა სახელის მატარებელი იმ-  
პერია ვერ გაძლებს, რაც აშკარად  
ჩანს, იქნება თქმული, ვინც დამრჩე-  
ნია, დარჩეს, ოღონდ ამას ვერქმევა  
რუსეთი. ამ მიზანს ემსახურება სუვე-  
რენიტეტის გამოცხადება ავტონომი-  
ების მიერ რუსეთის შიგნით და რეს-  
პუბლიკების მიერ. იქნება ასეთი პე-  
რსპექტივა — ვისაც საბჭოთა კავში-  
რში დარჩენა უნდა, დარჩება რუსე-  
თში. ეს იყო ყულფი. ამიტომ იყო  
ეროვნული მოძრაობის სხვადასხვა  
ორგანიზაცია სუვერენიტეტის გამოც-  
ხადების წინააღმდეგ. ელცინის გზა  
ბუნებრივია, ეს რუსეთის აღდგენის  
გზაა. ამიტომ მე ვთვლი, რომ ეს  
სწორია, ბოლოს და ბოლოს, ვინც აი-  
რჩეს ამ ხვედრს, ნებთ დარჩება  
რუსეთში.

— აღარ იქნება ტერმინოლოგიური  
თვალთშეცვლა.

— აღარ იქნება. საბჭოთა ილუზიის  
შექმნა იყო ბოლოშედეგების შედეგობა.  
მათ რუსეთიც დამარბეს, შეიძლება  
უნებლოდ. შიშანი ხომ იმთავითვე  
მსოფლიოს დაპყრობა იყო, შემდეგ  
მოიხსნებოდა ეს შიშობი, მაგრამ

მათ დაავიანდათ და რუსეთმა განი-  
ცადა დენაციონალიზაცია. რუსი კი-  
დევე უფრო საბჭოელო გახდა, ვიდრე  
ქართველი და ამან სულ დაკარგვინა  
ეროვნული ცნობებერა.

ელცინის მეორე ვარიანტი არის  
მთლიანად საბჭოთა კავშირის მოგება.  
აქ პიროვნულ ამბიციებსაც აქვს ადგი-  
ლი, საბჭოთა კავშირი კი მაინც უფ-  
რო დიდია, ვიდრე რუსეთი, მაშ, ვეგბ  
მთლიანად საბჭოთა კავშირი? შეიძ-  
ლება ცოტათი სახეცვლილი — ფორ-  
მა მოიხაზება. არჩევნებზე თუ მიდგა  
საქმე, ელცინი ყოველთვის მოუგებს  
გორბაჩოვს.

— გორბაჩოვის ძალა რაშია: არშია,  
თუ საერთაშორისო ავტორიტეტი?

— საერთაშორისო ავტორიტეტი.  
რუსეთში იციან, რომ გორბაჩოვის გა-  
დადებით მათ დასავლეთისგან ელთი  
ბოიკოტი. ეს კაცი დაიხს და შოუ-  
ლობს ფულს. ელცინს მაინც ისე სე-  
რითობდა არ უყურებენ. ნურა სე-  
ნე გონია, რომ ეს არის თოჯინების  
თამაში, არა. დასავლეთშიც ყველან  
ცოცხალი ადამიანები არიან, ხან ჰქვი-

— რა თქმა უნდა, 5-10 კაცთან  
მილაპარაკია, 10 ათას კაცს შევხვე-  
დრივარ, მტრულ აუდიტორიასთანაც  
გამოვესულვარ, შეძახილებისთვისაც გა-  
მიძლია, ერთ კაცთანაც მიყვარს ლა-  
პარაკი. ამ შემთხვევაში კი ჩემს უკ-  
ან 4 მილიონი კაცი იდგა, მე მახ-  
სოვდა ყოველი ჩემი თანამებრძოლი,  
მე მახსოვდა ზვიად გამსახურდია, მი-  
ხსოვდა. თითოეული კაცი, ვისთანაც  
ერთად მიტინგზე ვმდგარვარ. მე იმ-  
ათ სათქმელს ვამბობდი, უბრალოდ  
მე მომიწია — ისინი ლაპარაკობდ-  
ნენ. იქ ვერ წაგებ. ეს იყო ამითი  
მოგება. როცა ჩამოვედი, მქონდა სა-  
ოცარი შეგრძნება, გამარჯვებას არ  
აღიქვამენ, როგორც ვინმეს გამა-  
რჯვებას, ეს არის საერთო ზეიმი. მე  
ამ ჯილდოს ველოდი, ბოლოს და ბო-  
ლოს, ჯილდოსაც აქვს მნიშვნელობა.  
არც იმის კომპლექსი მქონია, რომ  
ისინი ჩემი უფროსები არიან, ვინ  
არაინ ისინი ჩემთვის. ისე ვიტყო-  
ბრე, რომ უფროსი არ მყოლია, არც  
ხელჩვეითი მყოლია და კარგადაც გა-  
მოვიდა ეს. მე თუ სადმე ვარ და ვი-

დავს, ჩვენ რომ უპასუხისმგებლო პო-  
ლიტიკოსები ვიყოთ, მაშინ გასელას  
გამოვაცხადებდით. მიმხედრი მიხვდა.  
— რაც შეეხება ჩვენი ქვეყნის ში-  
გნით არსებულ პრობლემებს, მხედ-  
ველობაში მქავს უამრავი ნიხსნის ხა-  
მართლის დანაშაული, ავეჯის სახლის  
დარბევა, უცოდინრად სტუდენტად  
გახლომის წარულოად ულოგიკო სურ-  
ვილი და მცდელობა და მრავალი  
ხხვა, მე შორს ვარ იმ გულშეპყვი-  
ლო აზრისგან, რომ ცუდმა ხალხმა,  
უბრალოდ, თავი აიშვა. მიმანია,  
რომ ეს ყველაფერი მართულია რა-  
ღაც ძალის მიერ, რომელსაც მიწნად  
აქვს დახახული დესტაბილიზაციის  
შექმნა, ახლად არჩეული ხელისუფ-  
ლების მახობაქვის მცდელობა. თქვენ  
როგორ ახვებთ ამას?

— საქმე ის არის, რომ ობიექტუ-  
რად, მართლაც, არსებობს ამის სა-  
ფუძველი. ამ ხალხს უამრავ უსამარ-  
თლობასთან და უკანონობასთან ჰქო-  
ნდა საქმე, კანონიერების გრძნობა  
არა აქვს, ჰგონიათ, რომ მოვლენ აქ  
და როგორც ცეკა უკანონოდ და ცუ-

საშუალება წესიერი და უკანონო  
ცხადების, ვისაც ეს არ უნდა, ის  
მიიღებს თავისას, არაინ დაიხვეს  
უკან. თბილისი იმით იყო კარგი,  
რომ საღამოს გამოეფინებოდა საბო-  
გდობა ქუჩაში. ჩვენ მომსწრე ვართ  
ამისა. ვინ მისცემს მათ იმის უფ-  
ლებას, მოსალოდულება თუ არა, ქა-  
ლი და ბავშვი ველორ გამოვიდეს გა-  
რეთ და აქ ბანდებმა იპარაპონ. ამას  
არ მოითმენს არაინ, კიდევ იმედი  
გვაქვს, რომ ვინც ქუჩაზე მოსასულე-  
ლია, ის მოეგება, თორემ მერე ჩვენ  
მოვიყვანთ; მათი მფარველების საქმე  
კი ძალიან ცუდად არის, ვინდ მოს-  
კოვში, ვინდ საქართველოში.

— ინგლისურ ენაზე გამოშავალი  
გაზეთის „ნორდონ მენსენჯერის“ მე-  
ორე ნომერში დაბეჭდილია თქვენი  
ინტერვიუ, სადაც ნათქვამია, რომ  
კომუნისტები გაქრებიან.

— კომუნისტები კი არა — კომპარ-  
ტი. კომუნისტები აღმომხდენ არიან.  
„კომ“ და „სოც“ რაც არის საქარო-  
ველოში, არაფერს მომავალი არა  
აქვს.

— ხოლო მეორე პარტია, რომე-  
ლიც პარლამენტში შემოვა, იქნება  
თავისუფალი დემოკრატები და მათი  
მხავანია...

— მე არ მიგულისხმია ის პარტია,  
რომელსაც ახლა ქვია ეს სახელი. მე  
მეორეს, რომ საქართველოში ვერ გა-  
იმარჯვებს ცენტრისტული ძალები. ქა-  
რთული ხასიათიდან გამომდინარე,  
იქნება მკვეთრი დაპირისპირება კონ-  
სერვატიულ ნაციონალისტურ ძალებ-  
სა და ამჟამინდელი გაგებით, დემოკ-  
რატიულ ძალებს შორის, თუმცა კონ-  
სერვატიორები სწორად ყველაზე მეტ-  
ად დემოკრატები არიან.

— თუ დავერდობთ, ჩემის აზ-  
რით, ძალიან ღრმა და ხეუძელთან  
წეროლს, რომელიც 18 ნოემბრის  
„ინტერპრულ საქართველოში“ დაი-  
ბეჭდა სათაურით „ინტელიგენცია თუ  
განათლებული საზოგადოება“, შეე-  
ძლება ვთქვათ, რომ დაპირისპირება  
იქნება ნაციონალ-კონსერვატიორება  
და ინტელიგენტებს შორის.

— ჩვენი ხალხი საკმაოდ ჰევიანია  
და ხვედა, რომ დახურდავების დრო  
პოლიტკაში არ არის, ამიტომ დღეს  
დარჩა ძალა და ძალა, ჩვენ და კო-  
მუნისტები. მომავალშიც ასე იქნება,  
ოღონდ კომუნისტების ადგოლს, ჩე-  
მის აზრით, სხვები დაიკავებენ.  
მრავალი მაგიდა თავისი არსით და  
მისწრაფებით კონსერვატიულია.  
მრავალი მაგიდის წყერ-ორგანიზაცი-  
ის მხოლოდ ტაქტიკური ერთობა არ  
გვაკავშირებს. რადგან ასე მოხდა,  
ამას აქვს თავისი ღრმა სარჩული, ეს  
არის ადამიანური ურთიერთლოცვა.  
ილიაც და აკაკი წერდენ — დედა-  
ჩემი ქართულად განათლებული ქა-  
ლი იყო. ამიტომ იყვნენ ისინი ასეთი  
კარგები, როგორც ყაზბეგი, როგორც  
ვაყა. სოცდემკები უნიკუერესი ხალხი  
იყო, მაგრამ ისინი არ იყვნენ ქარ-  
თელები, სულით ქართველები.

— ბატონო აკაკი, ტრადიციონალ-  
ისტთა კავშირის არხი რაში მდგომარ-  
ეობა?

— ნაციონალიზმი. მონარქია, ასე  
მკვეთრად რომ არის წარმოდგენილი  
ჩვენს პროგრამაში, ამის აბსოლუტუ-  
რი გამოხატულებაა. ვინც ეს კავში-  
რი დააარსა 1942 წელს, „თეთრი გო-  
ორგელები“ იყვნენ. თავმჯდომარე იყო  
სპირიდონ კეცია, მთავარი კომიტეტ-  
ის წევრები — შალვა ამირეჯიბი,  
ზურაბ ავალიშვილი, ირაკლი ბაგრა-  
ტიონ-მუხრანელი, გიორგი კვიციანი,  
გრიგოლ რობაქიძე, რევაზ გაბაშვი-  
ლი, ლეო კერესელიძე, შალვა მადლა-  
კელიძე, ალექსანდრე ასათიანი, ამ  
უკანასკნელს უბრწყინვალესად აქვს  
განალიზებული სოციალ-დემოკრატიის  
წარმოშობის მიზეზები საქართველოში.  
ყველა ეს ადამიანი მივიდა იმ დასა-  
ყნადად, რომ ქართული მონარქიის  
აღდგენა აუცილებელია ნაციონალიზ-  
მის დასამკვიდრებლად. ეს ჩვენს სის-  
ტეში ზის. მარტო სახელების ჩამოთ-  
ვლა რად ღირს. ეს არის თამარი,  
დავითი, ვახტანგ გორგასალი, მირიან  
მეფე, ფარნავაზი. ეს ის ფარს-  
მანები არიან, პირველი და მეორე,  
რომლებიც ქრისტიანები არ იყვნენ  
და ვერ ბოჰედნენ თავის არანორმა-  
ლურ ენეჯიას. შექსპირს არ დაუ-  
წყრია ისეთი ენებები და მოვლენები.

(დასასრული მ-5 23.)

# „ჩვენ ლაშქარი ვართ...“

## ინტერვიუ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საგარეო უწყისაგარეო პირველ მოადგილესთან, ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის თავმჯდომარესთან.

ანური მოუვათ თავში, ხან სისულელე-  
ხან მიხედვით სიტუაციას, ხან ვე-  
რა. გორბაჩოვი კი, როგორც ჩანს,  
საკმაოდ ნიჭიერი კაცია, რაკ მან ცე-  
კას აპარატის მუშაის პირობაზე, ერთ-  
გვარად გადღიარინა აზროვნების უნარი.

— თქვენ პირველად მოხვდით, ახე  
ვთქვათ, დიდ პოლიტიკაში. რა ფაქ-  
ტორებმა განაპირობა თქვენი სწორედ  
ამგვარი გამოსვლა?

— მე ამაზე მიფიქრია, სხვა ქვეყნე-  
ბის ისტორია კარგად ვიცი. ბავშობა-  
ში რუკებს ვხატავდი, სახელწოდებ  
მოწყობაზე ვფიქრობდი. ეს ყველაფე-  
რი თამაშია, მაგრამ ეს გამზადებს.  
ისტორიული რომანები როცა ვიყვარს  
კაცს, ყველაზე სასაცილო ის არის,  
რომ ხვდები, ეს ყველაფერი მართა-  
ლია, ეს ცნობილია, ეს უკვე იყო  
დღემიწინა. ახალი არაფერი არ არის,  
ახალი ადამიანები არიან, თორემ სი-  
ტუაცია ნაცნობია. ასე რომ, ნავარჯი-  
შობის მომენტზე იყო. გარდა ამისა,  
ეს იყო დაევალიც. ითქვა უზენაესი  
საბჭოს პირველ სხდომაზე, რომ უნდა  
დასცემოდა ასეთი პასუხი, იყო ჩვენი  
თავმჯდომარის მოსახრბანი. ამ შემ-  
თხვევაში მე ვიყავი წარმომადგენელი  
უზენაესი საბჭოსა და მისი თავმჯდო-  
მარის. ცხად იყო პოზიცია და იყო  
ბატონ ზვიად გამსახურდიას მითითე-  
ბანი — რა ფორმით უნდა გაცხადე-  
ბულიყო ეს ყველაფერი. მე ვიყავი  
მისი დახმარებელი. ამის შეესება იყო სუ-  
ფთა იმპროვიზაცია. ღამე გაფორმდით,  
ძილის დრო გვექონდა დაახლოებით  
ორი საათი. აქ იყვნენ ბატონები თე-  
ლო პაატაშვილი, არჩილ ჭირაქიძე, ჯო-  
ნი ზეცურაძე, ტარიელ გულანტია.  
ჩვენს ჯგუფში, რა თქმა უნდა, ჰქონდა  
ამაზე ლაპარაკი. კარგი ინფორმაცია  
დაგვახვედრა ჩვენმა წარმომადგენ-  
ლობამ. დავრწმუნდით, რომ საკმაოდ  
სწორი სურათი დავგიხატეს. სურათის  
სიტყვადმე განაპირობა გამოსვლის ფორ-  
მა. დაწერის დრო არ მქონდა, მაგრამ  
რომც დამეწერა, არ წაგიკითხავდი,  
იმიტომ რომ, მტრულად განწყობილ  
დარბაზს უნდა უყურა და როგორც კი  
რეპლიკა იქნება, უნდა ჩააბოთ, ქალღ-  
მე მიჯაჭვული კაცი კი ამას ვერ  
იხამს.

— სხვათა შორის, დაუწერელის  
შთაბეჭდილება არ დარჩა.

— მაინცდამაინც, ეტყობა, არა.  
ამიტომ, რომ მკაფიოა სათქმელი, სო-  
მართლის ლოგია. სიმართლეს ვერ  
მოგონებ. სიმართლე სიმართლეა, არ  
იმალბა. რატომ უნდა დამეშალო, მა-  
ინც ვერ ვიგებ. რომ ტყუილებოდღეს  
ვინმე, კიდევ ჰო, მაგრამ არ ტყუილბ-  
და ეს ხალხი. ეს არის ეშმაკი, ვერაგო-  
ბაში გაწაფული ხალხი. ოსტატობა  
ის არის, როცა ყველაფერი ცნობილია,  
ისეთი კომპიზაცია გააკეთო, რომ შე-  
ისეთი მტრულ იტულებული ხდება წამო-  
გყვეს, როგორც დიდი მოქალაქეებს  
შორის ხდება. ისინი ხომ ერთმანეთს  
არ ატყუებენ, უბრალოდ ერთმანეთს  
კომპინციებს კითხულობენ. დარბაზთან  
ურთიერთობის გასაჭირი კი მე არ  
მქონდა. ეს კომპლექსი მომეხსნა მას  
შემდეგ, რაც 20-25 ათასიან მიტინგე-  
ბზე გამოქვეყნდნ.

— აი, რა ნაყოფი გამოიღო მიტინ-  
გებმა.

ნმეს ვემსახურები, ვემსახურები ჩემს  
სამშობლოს. ამ თვალსაზრისით იყო  
გამართლებული იმპროვიზაცია. ერთ-  
თადერთი, არ დაგემაღე, ძალიან მინდ-  
ოდა, რომ ლუკინოვს ეთქვა „Гру-  
зинская ССР“, შუა კიბეზე ვი-  
ყავი, როცა ეს გავიგონე.

— ენტერული დასაწყისის საშუა-  
ლება მოგვცა.

— „Дамы и господа“ სკეი-  
ლურად ვთქვი. მე ვიცოდი მაგათი რე-  
აქცია, მომისმენია. ეს არის ერთად-  
ერთი აუდიტორია, რომელსაც სწყინს  
ასეთი მიმართება.

— ერთგვარი ქედმაღლობა იყო  
წინადადება „Есть такая стра-  
на Канада“, მაგრამ საუდიტორიას,  
რომელიც უარყოფითად ეიკედება: მი-  
მართავს — „Дамы и господа“,  
სხვაგვარად ვერ მიმართავ.

— ეს უნდა გაცხადებულყო. მე  
მომხვრდა მონიხის ყურება, არ და-  
გემაღე, ვისაც უნდა იწყინოს, მო-  
მხვრდა ჩვენების ლექსები და  
ერთმანეთის ზვევნი-კოცნა, თუნ-  
დაც კარგი რუსები. ჩვენები მა-  
ინც სხვა პოზიციაში არიან ამ დროს,  
მომხვრდა იმის ყურება, როგორ  
ეფიციბიან ერთმანეთს ძმობას. ამო-  
მივიდა ყველაფერი ყველზე და ეს  
უნდა ერთხელ თქმულიყო. გარდა  
ამისა, ისინი სულ ლაპარაკობენ ამე-  
რიკაზე, რომ იქ ყველა ერთად და  
კარგად ცხოვრობს, ამიტომაც ვახსე-  
ე, რაბადა. პირველ ეტაპზე ისინი კა-  
ნადანეც ლაპარაკობდნენ, მაგრამ მი-  
ხვდნენ, რომ ეს წამებინანია და ახ-  
ლა აღარ ახსენებენ, რაც რუსული  
ნაციონალიზმი მომძაოვრდა, მე ვთ-  
ვლი, რომ კარგია ამის მომძაოვრება.  
იმიტომ, რომ რუსი. ნაციონალისტი  
ჯობს რუს დემოკრატს. მე დავრწმუნ-  
დი, რომ რუსი დემოკრატს, როგორც  
წესი, შენიღბული იმპერიალისტია.  
ისინი ასე ამბობენ, ეს იქნება დემო-  
კრატიული ქვეყანა და ვიქნებით ყვე-  
ლანი ერთად, რუსი ნაციონალისტი  
კი ვმბობს, ან წაეთრეთ, ან დამემო-  
რჩილით, თქვე ოსრებო. ყველაფერი  
გაცხადებულია. რუსული იმპერიის  
დროს „ნოროდცები“ ერქვა სხვებს.  
გათავდა. ამას კი ქვია „სოვეტსკი  
გათოლზ“ და ყველანი მმები ვართ. სი-  
ცხადეა საჭირო. ყველაფერს თავისი  
სახელი უნდა ერქვას. ეს არის მტრე-  
ლე სარკვების, გადნაცვლებული  
ცნებების ქვეყანა, ამიტომ უნდა  
თქმულიყო ეს.

— და თქმულიყო სწორედ ასე.

— პირველად მიდიხარ, პირველი  
მრავალპარტიული არჩევნების მიერ.  
კიდევ კოქის გორება? სათქმელი  
იოქვას. როდესაც ვიდაცას მოხვდებ  
მწარედ, ის შეიქვ სხვა ქუთუხად და  
ბა. მიერ შეიძლება ყველაწარად ით-  
ქვას ყველაფერი, ოღონდ ამ ფონზე.  
ერთხელაც ნანონ, რომ ისინი, ვინც  
აქამდე სულ ეფერებოდა მათ,  
არ იყვნენ ჩვენი ხალხის წარმო-  
მადგენლები. ჩემს ვინდ კეთილმოუ-  
რნი, ვინდ არაკეთილმოსურენ ოპო-  
ნენტებს შემიძლია ვუთხრა ერთი  
რამ — იქ ვინც ჰევიანია, ვის ხელშიც  
არის მართვის საღავეები, ყველაფერს  
კარგად მიხვდა. როდესაც ვისაუბრეთ,  
გამორჩდა, რომ ამის უკან რაღაც

დად წყვეტდა მათ პრობლემებს, ჩვენ  
უკანონოდვე, მაგრამ კარგად გადა-  
წყვეტდა. ეს ამბავი უნდა დამთავრდეს.  
მაგრამ ამ ხალხის ობიექტურ სირ-  
თულეებს იყენებს ძალა, რომელსაც  
ახლა უკვე ნიშანი მიეცა გორბაჩო-  
ვის სიტყვით, საქართველოში მე-  
ლოება არის, ეს ცხადია. იმ ძა-  
ლამ უნდა იცოდეს, რომ ჩვენ ეს  
ვიცი, ეს უნდა იცოდეს ყველა ქა-  
რთელში. მე არ ვიცი, გორბაჩოვმა  
დასწრო ოპერაციის დაწყება, თუ  
ასე იყო გათვლილი. გამგებმა გაი-  
გოს აქცე. არიან ადამიანები, ვინც  
სრულიად არ არიან დაინტერესებულ-  
ნი, რომ ჩვენში სიტუაცია შეიცვალო-  
ს. მათ არაინ არაფერს არ ართმევენ,  
მაგრამ ისინი გაუმადრები არიან. ლა-  
პარაკი იმაზე კი არ არის, რომ გორ-  
ბაჩოვი აქ ყოველ მათგონისთან საქ-  
მის იგებს, არამედ იმაზე, რომ თუ  
ერმეს უნდა დაეყრდნოს კრემლის  
პოლიტიკა, უნდა დაეყრდნოს დე-  
სტრუქტიული ძალებს, არაფერს სხვას.  
არაინ არაფრის არ შეშინებია და  
ჩვენ ვიცი, რომ უნდა მივდევოთ, ეს  
მითემა ერმა იცის, რომ კავშირიდან  
არაინ ტაშ-ფანდურით, ზარ-ზეიმით  
და ყვაველებით არ გაგვაცი-  
ობს, მაგრამ ჩვენ უნდა ვაიძულოთ  
ისინი, რომ აქედან ვედიდეთ მშვიდო-  
ბიანად ეს იქნება ყველაზე დიდი  
სურსისძიება ჩვენი გოგონების დახო-  
ცვაზე. მეტი ხალხის დახოცვა მათი  
ზეიმი. ეს არის მონსტრი, ვამბირი  
სახელწოდებით. მისიანები რომ დაუხო-  
ცო, გაუხარდებოთ, მკამელები მოგ-  
ეკადლა. ახლა ჩვენს ქუთუხა სა-  
ქმე. აქ რომ ობიექტურად არ იყოს  
სიტუაცია მიდრეკილი ქაოსისაკენ,  
წინა ხელისუფლების დიდებული მარ-  
თვა-გამგებლობისა გამო, ამას ვერ  
შექმნიდნენ. იქ აქვს გაქანება ბოროტ  
განზრახვებს, სადაც ამის საშუალე-  
ბა არსებობს. ამას უნდა ბიძგი. ეს  
ძალა ასრულებს შევევთას. რაც დრო  
გაღის, პანიკამ და აგონიამ მოიკი-  
ბათი რიგები, ამიტომ ამას უფრო  
თავებედურად აკეთებენ. ამიტომ კი  
არა, რომ მამაცები არიან, ისტერიაკა  
ში იმყოფებიან. ისტერიაკა კი უზოხო  
მოქმედებაა. ისტერიაკევა იმის საწინ-  
დარი, რომ ერთობ მწარე იქნება მათი  
ბოლო, თუ არ დამოშინდებიან.  
მე საკმაოდ რბილი კაცი ვარ, „ლი-  
ტატორა“ გამსახურდიაც ჰუმანური  
და კაცთმოყვარე პიროვნებაა. არც  
ჩვენი პარლამენტი შედგება რეპრესი-  
ონისტებისაგან, მაგრამ ამჟამად ჩვე-  
ნი სამშობლოს ბედზეა ლაპარაკი.  
მოიქმნება ხალხიც და იმის გადაწყ-  
ვეტლებების სითამამეც ვევეოფა, რომ  
საკმაოდ მკაცრად მოეკითხოს ყველ-  
ას ყველაფერი, ძალიან სანანებლად  
ექნებათ საქმე.

— შედეგად მიმანია იმის კით-  
ხვა, რომ ამის ძალა და საშუალება  
თქვენ გაქვთ.

— ჩვენ მხოლოდ ჩვენი თავის იმ-  
ედი კი არა გვაქვს, არამედ გვექვს,  
რომ ვინც ქართველია, გონს მოგე-  
ბა. ნათქვამია და ვიმეორებ — ეპა-  
ტირბა კაცს ცოდენი იმ საშინელი,  
ბარბაროსული რევიმისა. ყველაბი  
რალაც ვართ ცოდვაში. მაგრამ ახლა არის

**ისტორიის** მიმდინარე ეტაპი ძალზე მნიშვნელოვანი და პასუხსაძებია საქართველოსთვის, რადგანაც რეალურად იქვეთება ქართული ერის სახელმწიფოებრივი — საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის შესაძლებლობა. მრავალი მაგისტის პროგრამაში დასახულია ის ძირითადი გზები და მიმართულებები, რამაც უნდა მიგვიყვანოს საქართველოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ დამოუკიდებლობამდე. ჩვენ აქ შევხვდებით ამ ბლოკის ეკონომიკური პროგრამის ძირითად მომენტებზე.

საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის საფუძვლად ედგება როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური დამოუკიდებლობის მიღწევა. ბუნებრივია, ამას სჭირდება გარკვეული პერიოდები, ერთგვარი მოსამზადებელი, გარდაამავალი დრო, რომლის განმავლობაშიც უნდა შეიქმნას საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის სამართლებრივი, პოლიტიკური და ეკონომიკური საფუძვლები. პოლიტიკური თვალსაზრისით, გარდაამავალი პერიოდი დასრულებულია შეიქმნა ჩაითვალოს მას შემდეგ, რაც საქართველო გახდება საერთაშორისო სამართალ-სუბიექტი, ხოლო ეკონომიკური დამოუკიდებლობის მიღწევა შედარებით ხანგრძლივი პროცესია. ამასთან, უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობის მიღწევის გარანტია და საფუძვლიანი მისი პოლიტიკური დამოუკიდებლობა. მხოლოდ საქართველოს პოლიტიკური სუვერენიტეტი ქმნის მისი ეკონომიკის აღმავლობისათვის საჭირო აუცილებელ პირობებს.

საქართველოს ეკონომიკურ დამოუკიდებლობაში არ იგულისხმება მისი ეკონომიკის სხვა ქვეყნებისაგან იზოლაცია, ან კარჩაბტვილობა. საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობა, პირველ რიგში, ნიშნავს ეკონომიკის განვითარებას მისი ბუნებრივ-ეკონომიკური, რესურსული და ეკონომიკური შესაძლებლობების საფუძველზე, მისი მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად. საქართველოს ეკონომიკური განვითარება ქვეყნებთან, მათ შორის საბჭოთა კავშირთან და მასში შემავალ რესპუბლიკებთან, უნდა ემყარებოდეს ურთიერთხელსაყრლობის პრინციპებს.

საქართველოს, რომელიც კონსტიტუციით „სუვერენული“ სახელმწიფოა წარმოადგენს, არ გააჩნდა თავისი ეკონომიკა. საქართველო არა მარტო მეფის რუსეთის, არამედ საბჭოთა ხელისუფლების პერიოდშიც წარმოადგენდა იმპერიის სანეღმურსო დასამატს და მისი პროდუქციის გასაღებას ბაზარს. ამის შედეგად, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკამ დაკარგა მისთვის ისტორიულად და ტრადიციულად დამახასიათებელი მრავალი დარგი. ამას დაემატა ისიც, რომ მხინჯა, ხელოვნურად დამყარებულმა წარმოქმნილი ურთიერთობებმა — წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივმა საკუთრებამ, განთანაბრებლმა განაწილებამ და სხვა, გამოიწვია მუშაკის შრომისაგან გაუცხოება, კერძო ინიციატივისა და მეწარმეობის ნიჭის დათრგუნვა, ბიუროკრატიული აპარატის ზრდა. ყოველივე ამან, სხვა გარემოებებთან ერთად, საქართველო მიიყვანა უმძიმეს ეკონომიკურ კრიზისამდე.

აღნიშნული კრიზისიდან საქართველოს ეკონომიკის გამოყვანა და მისი შედგენილი აღმავლობა შეუძლებელია არსებული წარმოებითი ურთიერთობების, ეკონომიკური სტრუქტურების ძირითადი გარდაქმნის (გარეშის) გარეშე. აქ ძირითადი მიმართულებაა საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლა. საბაზრო, კაპიტალისტური ურთიერთობებმა უპირატესობა სოციალისტურთან შედარებით თავისი ცხოველყოფილობით დადასტურა. ამაზე სათაოდ მეტყველებს მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკური მაჩვენებლები.

გარდაამავალი პერიოდში უნდა განხორციელდეს ეკონომიკური ღონისძიებები მთელი სისტემა, რომელიც ხელს შეუწყობს პროცენტების კერძო ინიციატივის გაძლიერებას, მეწარმეობის თავისუფლებას; უნდა შეიქმნას პროცენტების მატერიალური და სულიერი თავისუფლების საფუძვლები. ყოველივე აღნიშნულის გარანტია კი წარმოადგენს კერძო საკუთრების ხელშეწყობის პრინციპის აღიარება.

საკუთრების მრავალფეროვნების აღიარება და „საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი“ საკუთრების დიქტატის მოსპობა გარდაამავალი პერიოდის ერთ-ერთი ძირითადი, გადაამყვანი ეკონომიკური და, შეიძლება ითქვას, პოლიტიკური ღონისძიებაა. ამ უკანასკნელის განსახლმწიფოებრიობა პრივილეგიების პროცესი უზრუნველყოფს კერძო საკუთრების როლის ზრდას. საკუთრების ცალკეულ სახეობებს შორის კონკურენცია, როგორც მათგან უნდა მოვიყვანო კაპიტალისტური ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს.

უზრუნველყოფს კერძო საკუთრების წამყვან როლს ეკონომიკაში. კერძო საკუთრების გვერდით იარსებებს სახელმწიფო საკუთრება, რომლის განმეგობლობაშიც ძირითადად მოქცევა მეურნეობის ის დარგები და საწარმოები, რომელთა სამეურნეო საქმიანობა არახელსაყრელი იქნება კერძო მეწარმისათვის. სახელმწიფო ან საკუთრების სხვა სახის წილი ეკონომიკის სხვადასხვა დარგებში არ იქნება მუდმივი და შეიცვლება მათ შორის ჯანსაღი კონკურენციის საფუძველზე, სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებით.

საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლა გარკვეულ სირთულეებს წარმოქმნის მოსახლეობის დასაქმებაში, იქნება უმუშევრობაც, ამიტომ საქართველოს ხელისუფლების ერთ-ერთი უმთავრესი საზრუნავი უნდა იყოს მოსახლეობის დასაქმება და შესაბამისი სოციალური გარანტიების სისტემის შემოღება. ამ მიზნით შეიქმნება საქართველოს მოსახლეობის დასაქმების სახე-

# საქართველოს დამოუკიდებლობის ეკონომიკური საფუძვლები

ლმწიფო საბირთო სამსახური, რომელიც უნდა უზრუნველყოს მუშახელზე მოთხოვნილებას და მისი უზრუნველყოფის წყაროების შესწავლა, ვაცნობრივად საბუნებრივად და უმუშევართა აღრიცხვა, მათი პროფესიული გადამზადება და შესაბამისი დახმარების გაცემა.

რაც შეეხება შრომის ანაზღაურებას, მას საფუძვლად უნდა დაედოს წარმოებული პროდუქციის რაოდენობა (მომსახურების მოცულობა) და მისი ხარისხი საბოლოო შედეგების გათვალისწინებით, ამასთან, ანაზღაურების მაქსიმალური ოდენობა არ შემოსაზღვრება. აღნიშნულმა გარემოებამ ხელს უნდა შეუწყოს მუშაკის დაინტერესების გაძლიერებას თავისი შრომის შედეგებით, შრომის დისციპლინის დაცვით და ა. შ. უფრო მეტიც, პროგრამა ითვალისწინებს საქართველოს რეგიონების მიხედვით საკუთრებულ მიწისმფლობელ ხელფასის მინიმალური ოდენობის დადგენას საქართველოს მთავრობის მიერ. ხელფასის მინიმალური ოდენობის დაცვა საკუთრების ფორმების მიუხედავად. სახელმწიფო უნდა იყოს ყველა საწარმოსა და ორგანიზაციისათვის, ბუნებრივია, ეს გარემოებაც ერთ-ერთი მიმდინარე ეკონომიკური-ეკონომიკური გარანტიაა საქართველოს მოსახლეობისათვის.

გარდაამავალი პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ფასების პოლიტიკის გატარებას. ამასთან, ცვლილებებს ფასების პოლიტიკაში უნდა მოყვებოდეს სათანადო ღონისძიებების გატარება მოსახლეობის მსყიდველობითი უნარიანობის დაცვის მიზნით. კერძოდ, სამომხმარებლო ფასების ზრდის შემზღვევი განხორციელდება მოსახლეობის ფულადი შესაძლებლობის ინდექსით, ე. ი. გაიზრდება მოსახლეობის ფულადი შემოსავლები ფასების მოცულობის გაზრდასთან ერთად. ამავე დროს, გარდაამავალი პერიოდში ფასების პოლიტიკის გატარებისას გამოყოფა ორი ეტაპი: პირველ ეტაპზე კვეთს პროდუქტებზე და საერთოდ პირველი მოთხოვნილების საქონელზე, აგრეთვე კომუნალურ და სატრანსპორტო მომსახურებაზე აუცილებელი იქნება სახელმწიფო მარეგულირებელი ზემოქმედება ფასების და ტარიფების შედარებითი სტაბილურობის უზრუნველსაყოფად, ხოლო გარდაამავალი პერიოდის მომდევნო ეტაპზე, საქონელზე დიფერენციალური და საკონომიკური ბაზრის გაქრების კვლობაზე, პოინსინგმა სახელმწიფო შეზღუდვა ამა თუ იმ საქონლის ფასების ცვლილებაზე, მაგრამ ამ ეტაპზეც შენარჩუნებული იქნება ფასებზე სახელმწიფო ზემოქმედების უფლება იმ შემთხვევაში, თუ მოხდება ბაზრის მონოპოლიზაცია, ან ფასების მკვეთრი ზრდა. ბუნებრივია, აღნიშნულ შემთხვევაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საბაზრო ფასებზე სახელმწიფო ზემოქმედების საბუნებრივ მართებულ შეჩერებას. აქ შესაძლებელია ორი მიმართულების გამოყოფა: პირველი, როდესაც სახელმწიფოს მიერ ცენტრალიზებულად დაწესდა ფასები, ან მათი ცვლილების საზღვრები აუცილებელი მომხარების პროდუქტებზე, სახეობებზე და მომსახურების ცალკეულ სახეობებზე (ამ პროდუქტების, სახეობების და მომსახურების ნომენკლატურას განსაზღვრავს უზენაესი საბჭო); მეორე, როდესაც ფასებზე ზემოქმედება სახელმწიფო ანდა მისი ეკონომიკური მეთოდებით, კერძოდ: საგადასახადო, საკრედიტო,

საბაზო პოლიტიკით და სხვა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფასებზე სახელმწიფოს ზემოქმედების პირველი, აღმინისტრაციული მეთოდები გამოყენებული იქნება გარდაამავალი პერიოდის გარკვეულ, საწყის ეტაპზე, ხოლო ეკონომიკური მეთოდები კი მის მომდევნო ეტაპზე, საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის შემდეგ.

ამრავად, ფასების სახელმწიფო პოლიტიკამ გარდაამავალი პერიოდში უნდა უზრუნველყოს საქართველოს ეკონომიკური აღმავლობის ინფლაციური პროცესების შეზღუდვა; მოსახლეობის, განსაკუთრებით კი მისი ხელმოკლე ფენების, საიმედო სოციალური დაცვა, რაც შეიძლება უზრუნველყოს, ნაკლები ფინანსური და მორალურ-ფსიქოლოგიური დანაჯარებით საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლა. ფასების სახელმწიფო პოლიტიკას ამ მიმართულებით სხვა მნიშვნელოვანი ფუნქციაც აქვს, კერძოდ: სოცლის მეურნეობის ტრადიციული დარგების აღორძინება-განვითარებისათ-

საქმიანობაში. ამ უკანასკნელით იბეგრება იურიდიული და ფიზიკური პირები, რომლებიც საქართველოს სატრანზიტო გზებს გამოიყენებენ ტვირთის გადასატანად, ან მზავნაობა გადასაცემად. სატრანზიტო გადასახადი ერთი მნიშვნელოვანი წყარო იქნება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებისა.

საქართველოში გადასახადებით არ დაიბეგრება საქველმოქმედო ღონისძიებებიდან მიღებული შემოსავლები. საშემოსავლო ბეგარიდან თავისუფალი იქნება ეკლესიაც.

საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობის საფუძველს განამტკიცებს საქართველოს ტერიტორიაზე წარმოქმნილი ყველა გადასახადის ჩარიცხვა საქართველოს ბიუჯეტში. გადასახადების განაწილება რესპუბლიკასა და ადგილობრივ ბიუჯეტებს შორის განსაზღვრება საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ, ხოლო გადასახადების განაწილება საქალაქო და რაიონულ ბიუჯეტებს შორის განსა-

ზღვრება საქალაქო თვითმმართველობის მიერ.

ეკონომიკის საფუძველთა საფუძველია მწყობრი საბანკო-საფინანსო სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ფულად-საკრედიტო რესურსების ეფექტიან გამოყენებას. ამ მიზნით საქართველოში უნდა გატარდეს ძირითადი საბანკო რეფორმა. ამ მიმართულებით პროგრამა ითვალისწინებს საქართველოს უზენაეს საბჭოსადმი დაქვემდებარებული ორგანიზაციის საბანკო სისტემის შექმნას, რომელსაც სათვლელო ხასუდება ცენტრალური ეროვნული ბანკი; პირველ იარუსზე კი განლაგდება კომერციული და კოოპერაციული ბანკები.

ეროვნული ბანკი ცენტრალური ბანკის სტატუსის მქონე იქნება და კომერციული და კოოპერაციული ბანკების საქმიანობის კოორდინაცია-ზედამხედველობის გარდა შესარულებს ისეთ ფუნქციებს, როგორცაა: ფულის მიმოქცევის ეროვნული პოლიტიკის გატარება, დაკრედიტება-დაფინანსება, ანგარიშსწორება, მყარი ფულადი მიმოქცევისა და ქართული ფულის მსყიდველობითი უნარის განმტკიცება, მისი გასაცვლელი კურსის დადგენა სხვა ქვეყნების ფულად ეროვნულთან და ა. შ.

კომერციული და კოოპერაციული ბანკებისათვის უმაღლესი განმკარგულა უნდა იქნება დამფუძნებელი (მეპაიეთა) საერთო კრება, რომელთა საბაზო შენარჩუნებით იქმნება ამ ბანკების ძირითადი ფინანსური საფუძველი, საწესდებო ფონდი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნული ბანკის გამგეობის თავმჯდომარეს ნიშნავს საქართველოს უზენაესი საბჭო (იგი ამტკიცებს მის წესდებასაც), კოოპერაციული და კომერციული ბანკის გამგეობის თავმჯდომარეს ნიშნავს მეპაიეთა დამფუძნებელი კრება.

საზღვარგარეთის ქვეყნებთან საქართველოს საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობის განვითარებისათვის, აგრეთვე მათი საკრედიტო რესურსების ჩვენი ეკონომიკის განსამტკიცებლად გამოყენებისათვის აუცილებელი იქნება არა მარტო ჩვენი ბანკების, განსაკუთრებით კი ცენტრალური ბანკის ფილიალების შექმნა იმ ქვეყნებში, რომლებთანაც დამყარებული გვექნება ურთიერთხელსაყრელი კავშირები, არამედ მათთან ერთად ერთობლივი ბანკების დაარსებაც.

საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობის მიღწევა შეუძლებელია ეროვნული ფულის ერთეულის შემოღების გარეშე. დამოუკიდებელი საქართველოს საკუთარი ფულად-საკრედიტო სისტემა უნდა ემყარებოდეს ეროვნული ფულის ერთეულს, რომლის მეშვეობითაც იწარმოებს ერთობლივი ეროვნული პროდუქციის აღრიცხვა, საგადაამდებლო და საგარეო ბალანსების შედგენა. ეროვნული ვალუტა უნდა იყოს კონვერტირებადი, ე. ი. თავისუფლად უნდა იცვლებოდეს სხვა ქვეყნების ვალუტაზე. ამავე დროს, საქართველოში თავისუფლად უნდა მოქმედებდეს სხვა ქვეყნების კონვერტირებადი ვალუტა.

პროგრამაში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი საქართველოს ეკონომიკისა და მისი დარგების სტრუქტურის სრულყოფას, რადგანაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოს ეკონომიკა ამჟამად კოლონიური ქვეყნებისათვის დამახასიათებელი სტრუქტურის მსგავსია. ამიტომაც განსაკუთრებული სიმწვავეით დგას მისი ძირითადი შეცვლის საკითხი.

ამჟამად საქართველოს ეკონომიკა, განსაკუთრებით კი მისი ისეთი დარგი, როგორც მრეწველობა, თითქმის მთლიანად შემოხილულ ნედლეულზე მუშაობს, ამასთან, აქ ძირითადი იწარმოება ისეთი პროდუქცია, რომლითაც კმაყოფილება სხვა რესპუბლიკების მოთხოვნილება. ბუნებრივია, მრეწველობის ორიენტაციის შეცვლა, მისი შემოხილული რესპუბლიკის ინტერესებისაგან ერთბაშად ვერ მოხდება, ეს უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად.

წარსულში დამკვეთი შეიკრებოდა მისი ძალზე გათვლებულია საქართველოს მოსახლეობისა და ეკონომიკის სათანადო-რეგულირებადი სურსებით უზრუნველყოფა. დამკვეთი ნაკლოვანებების გამოწვევების მიზნით განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ჩვენი ტერიტორიაზე არსებული სათანადო-ენერგეტიკული რესურსების ეფექტიან გამოყენებას. ფართო გასაქანი უნდა მიეცეს ენერგეტიკის არატრადიციული წყაროების: მზის, ქარის, თერმული წყლების, ბიოგაზის ენერჯის გამოყენებას. ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული მცირე ჰესების შესაძლებლობანი, ხოლო პიროვნურგეტიკული მშენებლობები უნდა ხორციელდებოდეს ენერგეტიკულ, ეკოლოგიურ და სოციალურ-ეკონომიკური მოთხოვნათა გათვალისწინებით.

განსაკუთრებული როლი უნდა ითამაშოს არა მარტო მრეწველობის, არამედ სოფლის მეურნეობის ტექნიკური გადაიარაღების საქმეში მანქანათმშენებლობა. იმის გამო, რომ მცირე და საშუალო სიდიდის საწარმოებისათვის საქართველოში არ იწარმოებოდა მექანიზაციისა და ავტომატიზაციის საშუალებები, აქ ძალზე დაბალია წარმოების ტექნიკური დონე (მატარა საწარმოებისათვის არაეფექტიანი და საზარალოც იყო მძლავრი და ამავე დროს ძვირადღირებული რბობილი და სხვა ტექნიკის გამოყენება), ამიტომაც საქართველოს მანქანათმშენებლობამ უნდა გამოუშვას ისეთი პროდუქცია, რომელიც უზრუნველყოფს საშუალო და მცირე ზომის საწარმოებისათვის მოწინავე, პროგრესულ ტექნიკას, მანვე უნდა უზრუნველყოს სოფლის მეურნეობის ტექნიკური გადაიარაღება.

მნიშვნელოვანი ძვრები დასახული სოფლის მეურნეობის გარდაქმნის მიმართულებითაც. აქ კერძო მეწარმეობა საფუძველი უნდა გახდეს დარგის აღორძინებისა. უნდა აღდგეს მეურნეობის ეროვნულ-ტრადიციული ფორმები. უნდა შეიქმნას მემარცვლობის კერები აღმოსავლეთ საქართველოში ხორბლისა და სიმინდის წარმოებით, დასავლეთ საქართველოში — სიმინდისა და პარკოსნების წარმოებით; მაღალმთიან ზონაში კი სავაზუზულო თაფლიანი კულტურებისა და კარტოფლის წარმოებით. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მევენახეობის განვითარებას. მსოფლიო სტანდარტების მოთხოვნათა გათვალისწინებით უნდა განვიტარდეს მევენახეობა სუფრის, საღებურ-ტო, შამანური ღვინებისა და კანაკის საწარმოებლად; მეხელოვნებაში გაიკეთებოდა ყურადღება უნდა მიექცეს სამრეწველო მიმართულებებს: მეჩაიეობის განვითარებას საფუძვლად დაედება მისი ეკონომიკური და სოციალური მიზანშეწონილობა. ამ მიზნით პლანტაციები შენარჩუნდება ხარისხისა და შრომატევადობის, სამინდო და საგარეო ბაზრის მოთხოვნების, მეჩაიეობაში დასაქმებული მეურნეთა გამოცდილებისა და მათივე წინადადების გათვალისწინებით.

მნიშვნელოვანი ძვრები დასახული აგრეთვე მომსახურების დარგებში, კერძოდ, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების და სხვა მიმართულებით. ძირითადი შეიცვლება სამედიცინო მომსახურების დავინანსების წყაროები, როგორც პროგრამაში აღნიშნული, სამედიცინო დაწესებულებების შემოსავლების ძირითადი წყაროები იქნება: საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ჯანმრთელობის დაცვის ფონდი, ინდივიდუალური საღებველო ფონდი და სახელმწიფო ბიუჯეტი. ამის საფუძველზე განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა პროფესიულ-კერძო და სადაზღვევო მედიცინის განვითარებას.

